



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა



განკარგულება:გ-95.95213632

თარიღი:29/12/2021

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალთა ოთახების გაერთიანება“-ს (ს/კ:448057094) წევრად გახდომაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-20 მუხლის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 106¹ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (როლანდი ბერიძე) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალთა ოთახების გაერთიანება“-ს (ს/კ:448057094) წევრად გახდომაზე.

2. ეთხოვოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს (როლანდი ბერიძე) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალთა ოთახების გაერთიანება“-ს (ს/კ:448057094) წევრად გახდომასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

4. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელგაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

6. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

